საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ და საქართველოს სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებათა მონუმენტი გახსნეს

10 დეკემბერს, 18:00 საათზე, სახალხო დამცველის აპარატის ეზოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ _ გიორგი ჩხეიძემ და საქართველოს სახალხო დამცველმა _ სოზარ სუბარმა ადამიანის უფლებათა მონუმენტი გახსნეს.
"ადამიანის უფლებათა ხე" _ ასე ქვია ქანდაკებას, რომელიც სპეციალურად ამ დღესთან

დაკავშირებით მხატვარმა გუგა კოტეტიშვილმა დაამზადა.

10 დეკემბერს მთელი მსოფლიო ადამიანის უფლებათა დღეს აღნიშნავს, რადგან ზუსტად 58 წლის წინ, 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ანსამბლეამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიიღო, რომელიც ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ გარანტიებს აღიარებს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია პირველი საერთაშორისო აქტია, რომელმაც ადამიანის ყველა ფუნდამენტური უფლება და თავისუფლება გაართიანა და უნივერსალურ ღირებულებად აქცია. ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი საქართველოშიც პრობლემად რჩება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მისი დაარსების დღიდან ადამიანის უფლებათა დაცვაა. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვგეგმავთ სხვადასხვა ღონისძიებებს.